# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

21 მარტი
ხუთშაბათი
2024 წელი
№12 (9326)
ფასი 40 თეთრი


## შეხვედრა ამერიკის ელჩთან



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, **რობინ დანიგანს შეხვდა**.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სამომავლო გეგმებზე ეკონომიკის და ტურიზმის განვითარების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე.

ოთარ არბოლიშვილმა დიპლომატს დაუდასტურა მზადყოფნა, კიდევ უფრო განვითარდეს პარტნიორული ურთიერთობები.

- მართლაც მნიშვნელოვანი და ძალიან კარგი შეხვედრა იყო. ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის კულტურული მემკვიდრეობა, ტურისტული და სამეწარმეო რესურსები ბორჯომის რეალობაში. ამ კუთხით ამერიკის ელჩმა სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა, რაც სამომავლოდ დადებითად აისახება ბორჯომის მუნიციპალიტეტზე. აგრეთვე, მხარდაჭერა გამოგვიცხადა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სფეროში დასაქმებული აქტიური თანამშრომლებისთვის. შეგვიძლია შუამდგომლობა გავუწიოთ კომპანიებს, რათა მეტი ეკონომიკური სარგებელი მიიღონ", - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა**.

## ახალი მომავალში ბორჯომის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად განახლდება

**განვლილი ორი წლის მანძილზე ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფართომასშტაბიანი პროექტები განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქ ბორჯომის და მისი დაბა-სოფლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. მიმდინარე წელს კი ნამდვილად მასშტაბური პროექტებია განსახორციელებელი. ამ და სხვა გადაუჭრელ პრობლემებზე ვესაუბრეთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ოთარ არბოლიშვილს.**



**ბატონო ოთარ, განვლილი ორი წელი შეიძლება ჩაითვალოს ბორჯომის აღმშენებლობის პერიოდად. თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, არაერთი ძვირადღირებული პროექტები განხორციელდა. თქვენ რომელ პროექტებზე გაამახვილებთ ყურადღებას?**

- გეთანხმებით, განვლილ ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რაშიც გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს შპს ,,აიდიეს" ბორჯომის მინწყლების კომპანიამ, სერიოზული თანხები გამოყო რეგიონალური განვითარების ფონდმა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ, მთის ფონდმა, განახლებული რეგიონების პროგრამამ, გაეროს განვითარების პროგრამამ და ა.შ. რამაც საშუალება მოგვეცა დაგვეწყო ბორჯომის მუნიციპალიტეტში წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების თანმიმდევრული მოგვარება.

2023 წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯა 21404173 ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 9 მილიონი ლარი, მთის ფონდიდან - 717 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან - 446 ათასი ლარი დაიხარჯა, განახლებული რეგიონების პროგრამისათვის - 1641238 ლარი, სტიქიის სალიკვიდაციოდ - 1427711 ლარი, გზების რეაბილიტაციისათვის - 5278496 ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურისათვის - 1270300 ლარი და ა.შ.

ყველა რეაბილიტირებული ობიექტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. (მათ შესახებ თქვენს გაზეთში არაერთხელ დაიწერა).

მარტო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობისათვის ჯამში 1318000 ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის 33 სოფელში 35 პროექტი განხორციელდა. კერძოდ, სკვერების რეაბილიტაცია - 7 სოფელში, სასმელი წყლის რეაბილიტაცია 12 სოფელში, გზებისა და მოსაცდელების აღდგენა - 3 სოფელში, ხიდი - 1 სოფელში, გარე განათება - 3 სოფელში, სანიაღვრე ქსელი და სარწყავი სისტემა - 4 სოფელში, 2 სოფელში შემოიღობა სასაფლაო, სპორტული მოედანი მოეწყობა 3 სოფელში.

**მოდით, ორიოდე სიტყვით ისიც გვითხარით, როგორ დაეხმარეთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ავადმყოფებს, მრავალშვილიან ოჯახებს?**

- ყურადღება არ მოკლებია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ავადმყოფებს, მრავალშვილიან ოჯახებს, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ა.შ.

მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს 24 სოციალური პროგრამა (ამდენი პროგრამა საქართველოს არცერთ მუნიციპალიტეტში არაა).

2022 წლის მონაცემებით სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა 2228441 ლარი, დახმარება გაეწია 5282 მოქალაქეს. მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 201 ბენეფიციარზე გამოიყო 722633 ლარი. სტაციონალური მომსახურებისათვის - 303037 ლარი, მედიკამენტების შესაძენად - 124456 ლარი.

უყურადღებოდ არ დაგვრჩენია მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, ახალდაქორწინებულები, ახალშობილები, ღვაწლმოსილი ადამიანები, დედმამით ობლები და ა.შ.

2023 წლის 9 თვეში დავეხმარეთ 7930 ბენეფეციარს, რისთვისაც 1916219 ლარი გამოიყო. აღსანიშნავია, რომ 24 სოციალურ პროგრამას 10 ქვეპროგრამა კიდევ დაემატა.

ზემოთ ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ შევიძინეთ ახალი ავტობუსები, ნაგვის ურნები, სათვალთვალო კამერები, განვაახლეთ საბავშვო ბაღები, აღვადგინეთ ნაპირსამაგრი კედლები. მოვაწესრიგეთ მრავალბინიანი შენობების ფასადები, სკვერები, ბავშვთა გასართობი ატრაქციონები და სხვა.

**რაც გაკეთდა თვალნათლივ ჩანს და მოსახლეობა კარგად ხედავს, მაგრამ, როგორც იტყვიან - ქალაქი ცოცხალი ორგანიზმივითაა და ყოველდღიური ზრუნვა ესაჭიროება. მიმდინარე წელს რის გაკეთებას ითვალისწინებთ, რით გაახარებთ ბორჯომელებს?**

- მადლობთ ამ შეკითხვისათვის.

სახელმწიფო პროგრამის ,,საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების ფარგლებში" ბორჯომის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია ქ. ბორჯომის ცენტრალური უბნებისა და ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის რეაბილიტაცია. **ქალაქის რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 100 მილიონი ლარი, ხოლო პარკის რეაბილიტაციისათვის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 35 მილიონი ლარი. აღნიშნული პროექტები ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## ახალი „ბაკურიანი" ხილის გემოთი!

### ნატურალური მინერალური წყალი, ბაკურიანის მთებიდან, ნაკლები შაქრით!

**კომპანია IDS ბორჯომი საქართველო, ნატურალური მინერალური წყალი**

„ბაკურიანის" პორტფელს აფართოებს და გემოიანი წყლების კატეგორიაში შედის.

**„ბაკურიანი" ხილის გემოთი** - არის ნატურალური მინერალური წყალი,ბაკურიანის მთებიდან, ნატურალური ხილის წვენით და ნაკლები შაქრით.

„ბაკურიანი" სამი განსხვავებული ხილის გემოთი - ცოცხალი ლიმონი, მწვანევაშლი და წვნიანი ატამი, 0.5 ლიტრიან პეტ შეფუთვაშია წარმოდგენილი. როცა **გიყვარს და ზრუნავ!** - ბრენდის მთავარი საკომუნიკაციო გზავნილია. პროდუქტიარ შეიცავს ხელოვნურ საღებავებსა და არომატიზატორებს და სხვა ტკბილ სასმელებთან შედარებით, აქვს ნაკლები შაქარი და კალორია. გემოიანი წყლების კატეგორია, დასავლეთის ბაზრებისგან განსხვავებით,

საქართველოში განვითარების ეტაპზეა. ჯანსაღი ცხოვრების წესისპოპულარობიდან გამომდინარე, მსგავს პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება.

სწორედ ამიტომ, „ბაკურიანი," როგორც







მზრუნველი ბრენდი, ახალ ტრენდსამკვიდრებს და მომხმარებელს სიახლეს სთავაზობს.

**ირინა კეიდია, IDS ბორჯომი თბილისის მარკეტინგის ხელმძღვანელი: „დღესბაზარი გაჯერებულია ტკბილი სასმელებით, მომხმარებელი კი ჯანსაღიალტერნატივის ძიებაშია. სწორედ ამიტომ შეიქმნა ბაკურიანის წყალი ხილისგემოთი, ნაკლები შაქრით და კალორიით. პროდუქტზე მუშაობისას, გემოვნურ თვისებებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ნატურალური ინგრედიენტების შერჩევა. შედეგად მივიღეთ „ბაკურიანის" უნიკალური წყლისდა ნამდვილი ხილის წვენის მიქსი, რაც ერთდროულად ძალიან გემრიელს და სასიამოვნო დასალევს ხდის მას. შეფუთვაზე, კომპანიის დიზაინერმა, ანიჭოლოშვილმა იმუშავა. ჩვენი მიზანი იყო, რომ მომხმარებლისთვის პროდუქტის შინაარსი ზუსტად მიგვეწოდებინა. სამი განსხვავებული ხილის გრაფიკულიგამოსახულებით მივიღეთ თანამედროვე, ფერადი, მხიარული მუხტის ეტიკეტი,რომელიც ზუსტად ასახავს „ბაკურიანის" წყლით და ნატურალური ხილის წვენით შექმნილ გემოს.**" ბრენდის საკომუნიკაციო კამპანიაზე, სარეკლამო სააგენტო „მეტრო ფროდაქშენმა" იმუშავა. ახალი სარეკლამო რგოლი სატელევიზიო სივრცეში სულ მალე გავა. ანა ჭოხონელიძე, „ბაკურიანის" უფროსი ბრენდ მენეჯერი: „„ბაკურიანი" ხილისგემოთი, სრულიად ახალი კატეგორიის პროდუქტია. ახალ კომუნიკაციაში ხაზიგავუსვით ბრენდის ემოციურ მხარეს და წყლის მოხმარების განსხვავებულისიტუაციები და მომხმარებლების ახალი თაობა ვაჩვენეთ. ვიდეორგოლზე,იდეიდან მის განხორციელებამდე „მეტრო ფროდაქშენმა" იმუშავა. მასში ავსახეთ, თუ როგორ გარდაიქმნება ხილი „ბაკურიანის" ბოთლად და ახალი, უგემრიელესი პროდუქტი იქმნება, რომელიც ვფიქრობ მომხმარებლის სიყვარულს ძალიან მალედაიმსახურებს".

**„ბაკურიანი" ხილის გემოთი, ბორჯომის ჩამომსხმელ N2 ქარხანაში იწარმოება.**

**მისი შეძენა საქართველოს მასშტაბით უკვე შესაძლებელია.**

## სამდღიანი კონსულტაციები ბორჯომში



**აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამა- PPRD EAST 3-ის თანამშრომლობის ფორმატში, ბორჯომში, სამდღიანი შეხვედრა გაიმართა.**

**შეხვედრას იტალიის წითელი ჯვრის ექსპერტები უძღვებოდნენ, რომელსაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, შსს-ის საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრალური და რეგიონული სამსახურის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, სომხეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები და ბორჯომის წითელი ჯვრის მოხალისეები ესწრებოდნენ.**

**შეხვედრა წარმოადგენდა 2023 წლის 6-10 ნოემბრის ვიზიტის მეორე ეტაპს და მისი მიზანია, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაგრძელდეს მუშაობა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის განვითარების კუთხით. 2023 წლის ნოემბრის ვიზიტის შემდგომ იტალიის წითელი ჯვრის ექსპერტებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის განვითარებისათვის განსახორციელებელი ძირითადი აქტივობების შესახებ.**

# ახლო მომავალში ბორჯომის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად განახლდება

(გაგრძელება)

**პროექტი მიმდინარეობს Design-Build მეთოდით, რაც გულისხმობს ერთი ხელშეკრულების ფარგლებში საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და პარალელურ რეჟიმში სამშენებლო სამუშაოების წარმოებას. ამ ეტაპზე ელექტრონული ტენდერები ჩატარებულია და სამუშაოებს ასრულებს შპს „საბა კონსტრაქშენი“ და ამხანაგობა „ენზა“. პროექტი სამწლიანი და განხორციელდება ეტაპობრივად.**

ქალაქის რეაბილიტაციის ფარგლებში პირველ ეტაპზე შეირჩა ცენტრალურ და ტურისტულად აქტიური ქუჩები, როგორიცაა **რუსთაველის,კოსტავას, 9 აპრილის, ერეკლეს, გამსახურდიას, დუმბაძის, ჭავჭავაძის ქუჩები.** პროექტის ფარგლებში განხორციელდება არსებული შენობების ფასადების, სახურავების, მიმდებარე ტერიტორიებისა და ფეხით სავალი ნაწილის კეთილმოწყობის სამუშაოები, 9 აპრილის ქუჩაზე მოხდება ახალი სავაჭრო ჯიხურების მოწყობა, განახლდება დეკორატიული გარე განათება და სხვა სამუშაოები, რაც უკავშირდება ქალაქის ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შერჩეული არეალების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, **პარალელურ რეჟიმში სამუშაოები დაწყებულია ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ. №№57-73-ში მდებარე ე.წ 7 სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებზე, სადაც ხორციელდება ფასადების, სახურავების და მიმდებარედ არსებული კომერციული ფართების რეაბილიტაცია. სამუშაეოები ასევე მიმდინარეობს კოსტავას ქ. №2-ში მდებარე „ციცინათელა“-ს შენობაზე. აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძეგლს. სამუშაოები მიმდინარეობს მდინარე ბორჯომულას კალაპოტშიც პარკის შესასვლელიდან რკინიგზის სადგურამდე მონაკვეთზე, რაც გულისხმობს კალაპოტის გაწმენდას და ნაპირსაგმაგრი ნაგებობების მოპირკეთებას. უახლოეს პერიოდში დაიწყება ერეკლეს ქუჩაზე მდებარე 16 სართულიანი მრავალბინიანი კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სილამაზის ხიდისა და „მტრედის ხიდის“ რეაბილიტაციაც.**

რაც შეეხება ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის საკითხს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტირების პროცესი, რაც გულისხმობს პარკის ტერიტორიის სრულ რეაბილიტაციას. პარკის ტერიტორიაზე დამატებით გაჩნდება ახალი გასართობი და მოსასვენებელი სივრცეები, კვების ობიექტები, სრულიად განახლდება ატრაქციონები და პარკი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება კინოთეატრს, აღდგება საცურაო აუზი, ასევე მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეც. ვინაიდან ცენტრალურ პარკს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძეგლის სტატუსი. პროექტი თანხმდება კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება ე.წ შვიდბილიკას რეაბილიტაციაც. საკურორტო სეზონის შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება ეტაპობრივად, პროექტის პირველ ეტაპზე დაგეგმილია ,,ამერიკული მთების“ ატრაქციონის მიმდებარე ტერიტორიიდან პირველ ხიდამდე მონაკვეთის რეაბილიტაცია. რაც საშუალებას მოგვცემს შეუფერხებლად ვუმასპინძლოთ ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის ვიზიტორებს.

**ბატონო ოთარ! ალბათ დამეთანხმებით, რომ განვლილი 25 წლის მანძილზე ბორჯომმა, როგორც ბალნეოკურორტმა თავისი ფუნქცია დაკარგა. იყო დრო, როცა ბორჯომის საკურორტო-სანატორიულ ობიექტებში წელიწადში 100-120 ათასი ადამიანი ისვენებდა და მკურნალობდა. დღეს ბალნეოკურორტის აღდგენაზე საუბარი ფანტაზიის შემადგენელი ნაწილია. დაგვრჩა მხოლოდ ტურიზმის განვითარების პერსპექტივა ტურისტებს ესაჭიროებათ ისტორიული ობიექტები, საგამოფენო დარბაზები, გასართობი ატრაქციები, ღამის კლუბები, ბუნებაში გასვლა და ა.შ. რას ითვალისწინებთ ტურიზმის ქსელის გასავითარებლად?**

- გეთანხმებით, ტურიზმის სფერო სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს და ვაპირებთ ამ მიმართებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმას. ამას ითვალისწინებს ,,საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების“ სახელმწიფო პროგრამა, რომლის რეალიზაციაც მიმდინარე წელს დაიწყება 9 აპრილის, ერეკლეს, გამსახურდიას, დუმბაძის, ჭავჭავაძის ქუჩებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობების ფასადების აღდგენა. ეს პროცესი მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

**ხომ ვერ გვეტყვით, როდის აპირებს კულტურის სამინისტრო რომანოვის სასახლის, გოგიას ციხის აღდგენას, ისტორიული თორის, ნეძვის, ,,კვირიკეს“ მონასტრის ისტორიული ობიექტების რესტავრაციის დაწყებას, ფოთოლეთის ტაძრის მისასვლელი გზის მოწესრიგებას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რემონტის დაწყებას და სხვა ისტორიული ძეგლების წესრიგში მოყვანას, ტურისტებს ყველაზე მეტად ამ ობიექტების მონახულება აინტერესებთ?**

- თქვენს მიერ ჩამოთვლილ ობიექტებზე ვერაფერს გეტყვით, ალბათ, ისინი ყველა წესრიგშია მოსაყვანი, მოგვიწევს შევხვდეთ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას და ვთხოვოთ დახმარება. კულტურის ძეგლებიდან შარშან დამთავრდა ,,კავალერიის სასტუმროს“ რესტავრაცია და იგი მიმდინარე წელს გაიხსნება. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ტიმოთესუბნის მონასტერში, მომავალშიც არაერთი ისტორიული ძეგლი გვაქვს აღსადგენი.

**შარშან სერიოზული თანხები დაიხარჯა ახალდაბა-ლიკანის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციოდ. ვიცი, ეს პრობლემა თქვენ არ გეხებათ, მაგრამ გზის მშენებლებს მოეთხოვებათ პასუხი. ახალდაბაში პატარა მდინარის კალაპოტის ხიდის აშენებას სამი წელი მოუნდნენ და დღემდე დაუმთავრებელია. საავტომობილო გზაზე ასფალტი უხარისხოდ დაიგო და წელს ისევ დასაგები გახდება, რას იტყვით ამ პრობლემებზე?**

- როგორც თქვენ შეგტკივათ გული მეგზეველთა უპასუხისმგებლობაზე, ისევე განვიცდი მეც. არაერთხელ მივმართეთ მათ უფროსებს, მაგრამ პრობლემა გადაუწყვეტელია.



საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩაზე

**მუნიციპალიტეტის საკურორტო დაბა-სოფლებში (ახალდაბა, ზანავი, კორტანეთი, წაღვერი და სხვა). მოსახლეობა სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის. სამომავლოდ ხომ არ ითვალისწინებთ ბორჯომ-ბაკურიანში გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას?**

- წელს დაიწყება ბაკურიანის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, გადაწყდება წაღვერის და ახალდაბის წყალსადენის პრობლემებიც. ვითვალისწინებთ სხვა წყალსადენების მოგვარებასაც.

**ბორჯომის დიდ პრობლემად რჩება პარკინგის მოუწესრიგებლობა, გარე ვაჭრობა და უპატრონო ძაღლების ქალაქში ხეტიალი. აპირებთ თუ არა ამ პრობლემების მოგვარებას?**

- მერიისათვის სამივე პრობლემა დღემდე გადაუწყვეტელია. წელს ვაპირებთ სავაჭრო ჯიხურები დავდგათ 9 აპრილის ქუჩაზე და ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ ამ ხალხმრავალ ქუჩაზე მართლაც სამარცხვინო ვაჭრობის ფაქტები. სერიოზულად ვფიქრობთ ქალაქის ცენტრში არსებულ სტიქიური ბაზრის მოწესრიგებაზე და ბოლოს, უპატრონო ძაღლების შესახებ კანონი ბოლომდე მიღებული არაა და ველოდებით როგორ გადაწყდება ეს პრობლემა.

**დიდი მადლობა გულახდილი დიალოგისათვის, მომავალშიც გვიგულეთ თქვენს კეთილმოსურნე ოპონენტად.**

ესაუბრა ვალერიან ლომიძე.

# მიწის რეგისტრაცია აპრილიდან გაგრძელდება

მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად უნდა განხორცილდეს და აღნიშნული საკითხების ირგვლივ გაზეთ „ბორჯომში“ უკვე არაერთხელ გამოვაქვეყნეთ კიდეც წერილები, ამჯერად მოქალაქეების - შალვა გელაშვილის, ივანე გოგოლაძის, ლეილა გასვიანის, გოგიტა ადვაძის, გიორგი კურტანიძის, ნოდარ ბერიძის და როინ მელიქიძის მხრიდან შემოსულ კითხვებზე, რომელიც მიწის რეგისტრაციასთან არსებულ საკითხებს ეხება, ამომწურავ პასუხებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე სოფლის მეურნეობის საკითხებში, ბატონი **თედო მელიქიძე** გასცემს:




**რა არის სასოფლო-სამეურნეო მიწა?**

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული ან დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეთევზეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებით.

**სად შეიძლება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით დაინტერესების შემთხვევაში განცხადების ჩაბარება?**

- დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ნებისმიერი მომსახურეობის ცენტრს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს.

**რა კატეგორიებად იყოფა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა?**

ა)სახნავი-ყველაზე მაღალი ინტენსივობის კატეგორია:;
ბ)სათიბი-საშუალო ინტენსივობის კატეგორია;
გ)საძოვარი-დაბალი ინტენსივობის კატეგორია;

**შესაძლებელია თუ რა კატეგორიიის ცვლილება?**

- შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილება დაბალი ინტენსივობის სავარგულიდან მაღალი ინტენსივობის სავარგულის კატეგორიაში. მაგალითად: საძოვრის, სათიბის ან სახნავის კატეგორიაში და სათიბი სახნავის კატეგორიაში გადაყვანა. ასევე სამივე კატეგორიის მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიაში გადაყვანა.

**რა ფორმით არის შესაძლებელი სახელწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება?**

ა)აუქციონის ფორმით პრივატიზება, გარდა საძოვარისა;
ბ)აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემა;
გ)პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება, გარდა საძოვრისა;
დ)პირდაპირ ფორმით სარგებლობაში გადაცემა:
ე)უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა;
ვ)კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი ფორმით სარგებლობაში გადაცემა.

**ვინ იღებს გადაწყვეტილებას პირდაპირი ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით ?**

- პირდაპირი მიყიდვის და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაწყვეტილებას სააგენტოს წარდგინებით იღებს საქართველოს მთავრობა.

რომელი სააგენტოს წარდგინებით?

- სახელწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსი.

ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი?

ა)საქართველოს მოქალაქე, სასყიდლით;
ბ)კერძო სამართლის იურიდიული პირი სასყიდლით;
გ)საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია უსასყიდლოდ;

**განცხადების განხილვის ვადა როდემდეა?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადა, რომელიც შეადგენს ერთ თვეს თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ზემოაღნიშნულზე მეტი ვადა, საქმისწარმოების დაწყებასას მიიღება გადაწყვეტილება ვადის განსაზღვრის შესახებ, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 3(სამი) თვეს.

**მოქალაქეს აინტერესებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სახლის აშენება, მაინც და მაინც არასასოფლო დანიშნულების უნდა იყოს, რომ მშენებლობის უფლება მისცენ?**

- მშენებლობისათვის მიწა აუცილებლად არასასოფლო-სამეურნეო უნდა იყოს, სხვაგვარად მშენებლობის ნებართვას ვერ მიიღებ, ან უკანონო მშენებლობად დაგრჩება. სასოფლო-სამეურნეოზე რომ ააშენო, ამისათვის მიწას სტატუსი უნდა შეუცვალო, ანუ იგი არასასოფლო-სამეურნეოდ უნდა იქცეს. რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გარემოს დაცვისა და შესაბამის სამინისტროებიდან იღებს.

**სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთზე აშენებული სახლი, რომელიც უკანონოდ არის აშენებული, ამ შემთხვევაში რა არის საჭირო, რომ სახლი (შენობა) დაკანონდეს?**

- გააჩნია რა მოცულობის მიწაა და სახლია, გასარკვევია, შესასწავლი არის თუ არა საკითხი, თუ არის რეგისტრირებული. აუცილებელია, მოქალაქემ წარუდგინოს პროექტი მერიის სამსახურს.

**როდის იწყება მიწის სისტემური რეგისტრაციის მუშაობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში სისტემური რეგისტრაციის ბრიგადა მუშაობას აპრილის თვიდან დაიწყებს.

# თქვენი რჩევები და წინადადებები ფასდაუდებელია



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დასკვნით ეტაპზეა.სოფელი ტბის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს დეპუტატი **მამუკა ლურსმანაშვილი,** ადგილობრივი თვითმმართველობის და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები დაესწრნენ.ტბის, სადგერის, ლიბანის და ცემის მაცხოვრებლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დასახლებებში არსებულ საჭიროებებზე იმსჯელეს და ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს, რას მოხმარდება გამოყოფილი თანხა.აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

### ჩვენს ჯანმრთელობაზე მზრუნველი

# ექიმს ადამიანების უსაზღვრო სიყვარული სჭირდება

**მშვიდი, გაწონასწორებული, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. მე პირადად ასე დავახასიათებდი ბორჯომელთათვის მართლაც საამაყო და გამორჩეულ ექიმს ქალბატონ ნუნუ გოგოლაძეს. მასთან საუბარი ხომ სულს მალამოდ ედება და თუკი ვინმე ჯერ კიდევ მას კარგად არ იცნობთ, გეტყვით, რამდენად დიდი მოტივაცია შეიძლება იყოს ნუნუ ექიმის განვლილი გზა იქამდე, სანამ ის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა და გახდებოდა ისეთი წარმატებული ექიმი, როგორიც ის დღეს გახლავთ.**



**ქალბატონი ნუნუ** ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა და მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო სფერო ადრეული ბავშვობიდან ძალიან მოსწონდა, მერვე კლასში იყო, როდესაც საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მომავალ პროფესიად აუცილებლად ექიმობას აირჩევდა.

სკოლის დასრულების შემდეგ სასურველ ფაკულტეტზე მოსახვედრად ოთხი წელი ემზადებოდა, ფარ-ხმალი არ დაუყრია, რადგანაც გარშემო მყოფი ადამიანების უაზრო კომენტარების მიუხედავად, რომელთათვისაც ახალგაზრდა გოგონას კატეგორიული გადაწყვეტილება ცოტა არ იყოს გაუგებარი იყო, სწორედ დედა გახლდათ, ის ადამიანი, ვინც ბოლომდე გაყვა მის ოცნებებს და როდესაც საკუთარი თავი ჩარიცხულ სტუდენტთა სიაში აღმოაჩინა, იმ წუთებში მასზე ბედნიერი ადამიანი არავინ ეგულებოდა ამქვეყნად. შემდეგ იყო სტუდენტობის წლები, ინტერნატურა და საყვარელ ქალაქში დაბრუნება და ქალაქის რაიონულ საავადმყოფოში საყვარელი პროფესიით მუშაობა, რომელიც დღემდე გრძელდება. 2015 წლიდან ის ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ,,ჯეოჰოსპიტალსის“ თერაპიული მიმართულების ხელმძღვანელი გახლავთ. მისთვის, როგორც ექიმი თერაპევტისთვის, საკმაოდ რთულია საკუთარ ქალაქში მუშაობა. ამბობს, რომ ზოგადი პროფილის პაციენტები შემოდიან, რომელთა უმრავლესობაც ხშირ შემთხვევაში დამძიმებული მდგომარეობით არიან, თუმცა მიუხედავად ამისა, ის და მისი კოლეგები თავდაუზოგავად ცდილობენ, რომ მათი ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგნენ.

არაჩვეულებრივ ექიმს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, მეუღლეს **მურად ნოზაძეს**, რომელსაც ბორჯომელი საზოგადოება შესანიშნავად იცნობს. ბატონი მურადი წლების მანძილზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა პროფესიით ინჟინერია. მუშაობდა პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ, გახლდათ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, გამგებლის მოადგილე, აპარატის უფროსი, ამჟამად კი საჯარო მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეა, ჰყავთ ერთი ვაჟი **გიგა ნოზაძე**, რომელიც პროფესიით ფინანსისტია და ორი შვილიშვილი **ნენე** და **ნოა**.

ამბობს, რომ ექიმის პროფესია რთულია, როდესაც ოჯახი გყავს, გინდა ყველაფერი მოასწრო, თუმცა შეუძლებელიც არაფერია, როდესაც საყვარელი საქმე გიყვარს. გენატრება შვილი, შვილიშვილები, რომლებიც სხვაგან ცხოვრობენ და ხშირად მთელი თვე არ გაქვს საშუალება, რომ მოინახულო, თუმცა, როდესაც იცი, რომ პაციენტებს სჭირდები სხვა გზა არ გაქვს, მათ სამსახურში უნდა იყო. ყველაზე რთული პერიოდი, მისი კარიერის მანძილზე პანდემიის პერიოდი იყო, ამბობს, რომ გარეშე თვალისთვის, ალბათ კიდევ არ იყო შესამჩნევი ის სირთულეები, რაც თერაპიული და რეანიმაციული განყოფილების თანამშრომლებისათვის რთულად გადასატანი აღმოჩდა, თუმცა მათ ეს შეძლეს.

ჩემ კითხვაზე, თუ რას ნანობს განვლილი წლებიდან როგორც ექიმი და თუნდაც დედა, რომელიც სულ სამსახურში იყო, მიპასუხა, რომ არაფერს არ ნანობს, რადგანაც ჰყავდა შესანიშნავი დედა, რომელსაც მისი შვილის აღზრდაში უდიდესი წვლილი მიუძღვის და მას არასდროს არ შეშლია ხელი საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, რისთვისაც უზომოდ მადლიერია.

**საუბრის დასასრულს კი კითხვაზე, თუ რას ურჩევს, მომავალ ექიმებს, მიპასუხა: - აუცილებელია, თითოეულმა მომავალმა ექიმმა წინასწარ იცოდეს, თუ რამდენად საპასუხისმგებლო პროფესიასთან ექნება საქმე და თუკი პირველ რიგში არ ეყვარება ის საქმე, რასაც სამომავლოდ გააკეთებს ნუ აირჩევს, რადგანაც ექიმის პროფესიას პირველ რიგში საქმისა და ადამიანების უსაზღვრო სიყვარული სჭირდება.**

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

## სამხედრო ლიცეუმის წარმატებული კადეტი

**გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის ქუთაისის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ლიცეუმში ჩარიცხვა იმ მოსწავლეებს შეუძლიათ, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ ცხრა კლასს. კადეტები ფიზიკურ მომზადებასთან ერთად გაძლიერებული პროგრამით სწავლობენ სამხედრო საქმესა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს. ლიცეუმში სამ წლიანი სწავლის შემდეგ კადეტები საშუალო განათლების ატესტატს და შესაბამის სამხედრო სერტიფიკატს მიიღებენ. ბორჯომელი მარიამ ბერიძე, აკადემიური მოსწრებით, დისციპლინითა და ფიზიკური მომზადების დონით ლიცეუმის ერთ-ერთი გამორჩეული კადეტი გახლავთ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დროშის აღმართვის ცერემონიალში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. დროშის აღმართვის ცერემონიალი კადეტთა სამოტივაციო პროგრამის ნაწილია. კადეტი, რომელიც ხუთჯერ შეძლებს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას, ლიცეუმის დირექცია დაუფინანსებს ფასიან სასწავლო კურსებს, როგორიცაა: გრაფიკული დიზაინი, ინტერიერის დიზაინი, სოციალური მედიის კურსი და სხვა. გვსურს, მარიამ ბერიძეს გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველებიც იცნობდნენ:**

**მარიამ ბერიძე**: - თავიდანვე მაინტერესებდა აღნიშნული სფერო და როდესაც გავაჟღერე ჩემი სურვილი, ოჯახის მხრიდანაც დიდი მხარდაჭერა და გვერდში დგომა ვიგრძენი. როდესაც მისაღები გამოცდები ჩავაბარე და პასუხები მოვიდა, სადაც რეიტინგულ მოსწავლეთა სიაში აღმოვჩნდი, უბედნიერესი ვიყავი. ამით კიდევ ერთხელ დავუმტკიცე ჩემ თავს, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. პირველ რიგში, რასაც ლიცეუმში ვსწავლობთ არის ადამიანური ურთიერთობები, ერთმანეთის დახმარება და პატივისცემა. ძირითად საგნებთან ერთად ვსწავლობთ დამატებით სამხედრო მომზადებას, ფრანგულ და თურქულ ენას, არის ,,ტოეფელის“ და ,,ესეიტის“ კურსები, მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის, რომლებიც სამომავლოდ სამხედრო კარიერის გაგრძელებას აპირებენ, საზღვარგარეთ შეუძლიათ სწავლა.

რაც შეეხება დროშის აღმართვის ცერემონიალს, ის ყოველ ორშაბათს იმართება და წამახალისებელი აქტივობაა, რომლის აღმართვის უფლებაც ეძლევათ დისციპლინით, ფიზიკური მომზადების დონითა და აკადემიური მოსწრებით გამორჩეულ სტუდენტებს. ეს არის საოცარი შეგრძნება და რაც მთავარია, პასუხისმგებლობა.



თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კადეტთა ლიცეუმი ის ადგილია, სადაც ყველაფერი სხვა თვალით დავინახე, ლიცეუმმა დისციპლინა (დილის ექვს საათზე იწყება ჩვენი დილა) მეტი პასუხისმგებლობა და რეჟიმი მასწავლა. სამომავლოდ ვფიქრობ, რომ სამხედრო მიმართულებით გავაგრძელო სწავლა. ახალგაზრდებს და გოგონებს კი რომლებსაც მომავალში აღნიშნულ სამხედრო სასწავლებელში სურთ სწავლა ვეტყოდი, რომ აქ ყველაზე დიდი გულშემატკივრები და მეგობრები დახვდებიან მენტორი პედაგოგების სახით. იცოდნენ რომ შეუძლებელი არაფერია.

საუბრის ბოლოს კი მინდა მადლობა გადავუხადო ჩემ ოჯახს, რომ არა მათი მხარდაჭერა და გვერდში დგომა ამ ყველაფერს ვერ შევძლებდი.

**ნატო მელიქიძე**

### ველით თქვენს გამოხმაურებას!

# ნუთუ ოპოზიციას არაფერი სმენია ალენ დალესის დოქტრინის შესახებ?!

საქართველოს ისტორია მეორდება, დღევანდელი საქართველო გაივსო თანამედროვე შადიმან ბარათაშვილებით, მისი მსგავსი მიმდევარი, სამშობლოს გამყიდველებით. ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ განვითარებულ და აყვავებულ ქვეყანაში დაიწყო ქვეყნის ძარცვა-რბევა: დაშალეს მძლავრი ფაბრიკა-ქარხნები და საწარმოები, დახსნეს დანადგარები და მაშინდელ გაჭირვებულ თურქეთში ჯართად გაზიდეს, რის შემდეგაც თურქეთი მოფერიანდა და დღეს საკმაოდ წარმატებული ქვეყანა გახდა. შეიძლება შემომედავოთ, რომ თურქეთს არაფერი უჭირდაო, მაგრამ მოგაგონებთ, რომ გარდა ქარხნების ჯართად ჩაბარებისა, ოთხმოციანი წლების ბოლოს ქართველ ქალებს თურქეთში გასაყიდად მიჰქონდათ ძველი, გამონაცვალი ტანსაცმელიც, საყოფაცხოვრებო ნივთებიც, ის, რაც აღარ ჭირდებოდათ.

ჩაბარებული ჯართით მარტო თურქეთი და საბერძნელი კი არ გაამდიდრეს, არამედ, თვითონაც გამდიდრდნენ და შეძლებულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

ახლა გაზეთებიდან და ტელევიზიიდან ისმის რუსეთის ლანძღვა-გინება (განსაკუთრებით ,,ნაცმოძრაობის“ და მისი თანაკომპანიონების მხრიდან), სამაგიეროდ სწორედ მათ რუსეთს მიჰყიდეს ყველაფერი ის, რისი დანგრევაც ვერ შეძლეს. 14 ჰესი, სასმელი წყალი, ელმავალმშენებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობი და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნები, დაახლოებით 60-მდე მსხვილი წარმოება-დაწესებულება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავისი ნამდვილი სახეები გამოაჩინეს შევარდნაძის ზურგსა და ნაყიდი კომუნისტური პარტიის ბილეთების უკან ამოფარებულმა, გაზულუქებულმა და გაუმაძღარმა მედროვეებმა, ისეთებმა როგორებიც არიან ხაზარაძეები, ბურჯანაძეები, ჭყონიები და ბევრი სხვა მათი მიმდევრები, პირადი გამდიდრების მიზნით სამშობლოს მოღალატეები.

ესენი არიან ხალხი, რომლებიც დღეს ვითომ დემოკრატიის, მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, დემაგოგიის დასამკვიდრებლად და ხელისუფლებაში მოსასვლელად იბრძვიან მხოლოდ თავიანთი კეთილდღეობისათვის, რომელთაც ქვეყნის ბედი არ ადარდებთ. მათნაირი მედროვეების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან ბევრნი არიან, რომლებიც პარტიიდან პარტიაში დარბიან, ვითომ ქვეყნის სასიკეთო საქმის საკეთებლად, დიდ პატრიოტებად მოაქვთ თავები, სინამდვილეში ყველაფერს აკეთებენ თავიანთი პირადი კეთილდღეობისათვის, მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, გედი ფოფხაძე, ეკა ბესელია, გოცირიძე, ხაზარაძე, გვარამია, მელია, გახარია და ბევრი სხვა მედროვეები, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან ბევრნი არიან, - ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტის ჩათვლით. ეს ის ხალხია, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მეთაურის **ალენ დალესის მიერ** შემუშავებულ გეგმას პრაქტიკული შესრულებისათვის დღენიადაგ ზრუნავენ.

**აი, რას წერდა ალენ დალესი:**

**საბჭოთა კავშირში დავთესავთ ქაოსს და გავუყალბებთ მათ ფასეულობებს და იძულებულვყოფთ ირწმუნონ ჩვენი შეხედულებები. ამისთვის მოვძებნით თანამოაზრეებს, მოკავშირეებსა და დამხმარებებს.**

**ერთმანეთის მიყოლებით გათამაშდება უდიდესი უბედურება დედამიწის ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი გაქრობისათვის.**

**ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვშანთავთ მათ ყოფით რაობას, განვაცალკევებთ მხატვრებს, განვაქარწყლებთ სახვითი ხელოვნებით დაინტერესებულთა სურვილს და იმ არსის ძებნასაც, რასაც ხალხთა მასების სულის სიღრმეში აქვს ადგილი. მწერლობა, თეატრი, კინო, გამოცემები, ყველაფერი უნდა გამოსახავდეს და ქებას შეასხამდეს ადამიანის ყველაზე დაცემულ გრძნობებს. ჩვენ ყველანაირად დავუჭერთ მხარს და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვანთ, რომლებიც ადამიანებში დაამკვიდრებენ და დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ სექსის, ძალადობის, ღალატის კულტს. ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეობას.**

**სახელმწიფო მმართველობაში შევქმნით ქაოსსა და გაუგებრობას, შეუმჩნევლად, მაგრამ გამძაფრებულად და მუდმივად შევუწყობთ ხელს მოხელეთა და მექრთამეთა თვითნებობას, უზნეობას. თავხედობა და საქმეთა გაჭიანურება აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე.**

**პატიოსნება და წესიერება წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა, გამასხარავდება და აღარავის დასჭირდება. უზნეობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ერთი მეორის ცხოველური შიში და ურცხვობა, გამცემლობა და გაუტანლობა ერთა შორის, აღმსარებლობათა შორის და თაობათა შორის მტრობა. ყოველივე ამას ოსტატურად და შეუმჩნევლად დავნერგავთ, ეს ყველაფერი აყვავდება.**

**მხოლოდ ცოტანი, ძლიერ მცირენი თუ მიხვდებიან და გაიგებენ იმას, რაც ხდება, მაგრამ მათ უმწეო მდგომარეობაში ჩავაგდებთ, ხალხის სამასხარაოდ გავხდით, გამოვძებნით ხერხს, რათა მათ ცილი დასწამონ და გამოაცხადონ საზოგადოების ნაძირლებად. ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გარყვნისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვისყიდოთ და გავხრწნათ ისინი.**

**ახალგაზრდებისაგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს.“**

ალენ დალესის ეს იდეები დღეს ხორცს ისხამს. თანამედროვე ალენ დალესები არწმუნებენ მათდამი მორჩილ საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან რადიკალურ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც როგორც თვალნათლივ ვხედავთ, არანაირ მონაწილეობას არ იღებენ საპარლამენტო მუშაობაში, არანაირი დადებითი წინადადება ან პროექტი არ შეუტანიათ ევროპარლამენტის 12 პუნქტიანი დავალების შესასრულებლად. თვალნათლივ ვხედავთ, როგორი თავგანწირვით იბრძვიან ლგბტეს პროპაგანდის საწინააღმდეგო საპარლამენტო კანონის არ მიღებისათვის. საერთოდ არ ზრუნავენ მომავალი თაობის განათლების დონის ამაღლებისათვის,

**სამაგიეროდ თითქმის ყოველდღე ისმის მათი ომახიანი ხმა: - ხელისუფლება არ ზრუნავს განათლების სისტემის სრულყოფისათვის, უმუშევართა დასაქმებისათვის, ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის, ემიგრანტთა დაბრუნებისათვის და ბევრს სხვა ნეგატიურ მოვლენებზე, რომელთა ჩამოყალიბება-განვითარებაში თვით ოპოზიციურ პარტიებს „ლომის წილი“ უძევთ და ახლა ხელისუფლებას ამუნათებენ ამ პრობლემების შექმნაში. სამაგიეროდ მოუწოდებენ ქართველი ახალგაზრდობა წავიდეს უცხო ქვეყნებში მოსამსახურეებად, დამლაგებლებად, მოხუცების მომვლელებად, უბრალო მუშებად.**

მიმდინარე წელს საპარლამრნტო არჩევნებია. ქართველი ამომრჩეველი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას. ამომრჩეველს უნდა მკაფიოდ ავუხსნათ, თუ რა დილემისა და მრავალი პრობლემის წინაშეა ჩვენი ქვეყანა, კარგად ვხედავთ, რა ძნელია მშვიდობის შენარჩუნება, როგორ თავისუფლად და თავხედურად დასეირნობენ ევროპის ქვეყნებში წინა ხელისუფლების ცალკეული დამნაშავე მაღალჩინოსნები (კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვები), როგორ ითხოვენ ქვეყნის წინაშე დამნაშავე სააკაშვილის განთავისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციების თავგასულობამ ყოველგვარ დონეს გადააჭარბა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მხარდაჭერილები ყოვლად უზნეოდ და უკანონოდ მოქმედებენ. მათ უხვად აფინანსებენ ჩვენი ქვეყნის დასანგრევად და გასანადგურებლად. დროა ამ ადამიანებს ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

**ნოდარ ნოზაძე,**
**პენსიონერი**

## ვულოცავთ!



ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დასუფთავებისა და ტრანსპორტის სამსახურის თანამშრომელ ქალბატონებს დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტი მიულოცა სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნუგზარ ქუთათელაძემ.**

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ქალბატონებს საზეიმო დღეებს.

## ტრადიციას არ ღალატობენ!

**საქართველოს რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე გელა გელაშვილი) დედის და ქალთა საზეიმო დღის აღსანიშნავად ხაშურის რკინიგზის კვანძზე დასაქმებულ 190 ქალბატონს ფასიანი საჩუქრები გადასცა და ტრადიციული დღესასწაული მიულოცა.**

## მადლობა გამოჩენილი ყურადღებისათვის

**ბოლო** სამი თვის განმავლობაში ორჯერ მომიწია საავადმყოფოში მკურნალობამ, ამიტომ გთხოვთ გაზეთ ,,ბორჯომის“ საშუალებით მადლობა გადავუხადო ,,ჯეოჰოსპიტალსის“ მ-ედპერსონალს იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი იჩენდნენ ჩემს მიმართ. შპს ,,ჯეოჰოსპიტალსის“ ბორჯომის სამედიცინო ცენტრის ქირურგიული განყოფილების ქირურგებს: **ლადო გელაშვილს, მალხაზ ბურნაძეს, ექთნებს: ნუნუ ხუციშვილს, მაკა ჭოლაძეს, ნანა გელაშვილს, მზია შაყულაშვილს, რუსუდან ბლიაძეს და ყველა სანიტარს.**

**მადლობა ჩემ რძალს ნინო მაჭარაშვილს.**

პატივისცემით **ასმათ მაისურაძე**
პენსიონერი.

**პოეზიის კუთხე**

## ძველი ბორჯომი მენატრება



**სულ სხვა ხიბლი ჰქონდა ბორჯომს,**
**- ის ბორჯომი მენატრება...**
**პეტრეს ციხე, ქვედა გომნა, -**
**ჩემი ქუჩა მენატრება.**
**ჩემი ეზოს მეზობლების -**
**მეზობლობა მენატრება.**
**ეროვნებას ვინ არჩევდა -**
**სუყველანი მენატრება.**
**სიყმაწვილის ფაფის სკოლა...**
**კლასელები მენატრება,**
**ჩემი მერხის მეგობარი, -**
**აღარა მყავს - მენატრება.**
**ბორჯომ-ბალში ამალიAბებოს -**
**სანაყინე მენატრება.**
**ნაყინის მეტი რა არის,**
**მე მაინც ის მენატრება.**
**ქალაქის ძველ კუთხეში**
**კუკუშკა-მატარებლის,**
**საყვირის ხმაც მენატრება.**
**პლატოს ტყიდან გომნის მთამდე**
**სეირნობა მენატრება.**
**ბორჯომელი ვაჟკაცების**
**,,ხეობაში“ ქეიფობა მენატრება.**
**სტუმრობა და მასპინძლობა**
**ის ბორჯომი მენატრება.**
**სხვა სურნელი ჰქონდა ბორჯომს**
**და სურნელი როცა ქრება,**
**ის ბორჯომი! მაშინდელი**
**მშობელივით მენატრება.**

**თედო მელიქიძე**

## ,,ბიბლუსში” მრავალფეროვანი აქციები დაგხვდებათ

**,,ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელი თავის ერთგულ მკითხველებს თითქმის ყოველდღიურად თავაზობს სხვადასხვა სახის აქციებს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, საყვარელი და რაც მთავარია, ,,ყველაზე ჰუმანური აქცია“, რომელსაც მკითხველები სწორედ ასე უწოდებენ, გახლავათ აქცია სახელწოდებით: ,,გადაიხადე რამდენიც გინდა“ და აქცია 22 თებერვალს დაიწყო.**

აქცია, ამჯერად, დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის დასახმარებლად გაიმართა. აღნიშნულ აქციაში, ის მებრძოლები იყვნენ გაერთიანებულები, რომლებიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეები და ვეტერანები არიან.

შეთავაზების ფარგლებში, მკითხველებს, სასურველ ფასად შეეძლოთ წიგნების: ანტონ ფურცელაძის “მაცი ხვიტია” და ერიხ მარია რემარკის “დასავლეთის ფრონტი უცვლელია”. აღნიშნული წიგნები წლების მანძილზე მკითხველების განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს.

11 ლარიდან 10 ლარამდე გადახდილი თანხის 40% პროცენტი, ხოლო 10 ლარს ზემოთ გადახდილი თანხა სრულად გადაირიცხება დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდში.

აქცია ტირაჟის ამოწურვამდე გაგრძელდა და მისი მთავარი პირობა გახლდათ ის, რომ ერთ მომხმარებელზე გაიცემოდა მხოლოდ თითო წიგნი.

**ლინდა ვადაჭკორია**: - ყველაზე ჰუმანური აქციაა, რაც კი ოდესმე მინახავს, რადგანაც როდესაც იცი, რომ შენი გაღებული თანხით სწორედ იმ ადამიანებს ეხმარები, რომელთაც შენი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში უდიდესი როლი მიუძღვით და ახლა ჩვენ თავად შეგვიძლია, რომ მათ ფინანსურად, ძალიან მცირედად, თუმცა მაინც, დახმარების ხელი გავუწოდოთ, სასიხარულო ფაქტია ნამდვილად.

**ნონა მიქელაძე**: - საოცარი აქციაა, რომელიც კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს ადამიანებს, რომ სიკეთის კეთებას არაფერი ჯობია. როდესაც შენ მიერ გაღებული




თანხით ჩვენი ქვეყნის გმირ ადამიანებს ეხმარები, ამაზე საუკეთესო გრძნობა არ არსებობს ადამიანისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნული აქციისა, ,,ბიბლუსი“ თავის ერთგულ მკითხველებს, ასაკისა და სქესის მიუხედავად ყოველდღიურად სთავაზობს სხვადასხვა სახის აქციებს. აქ შეგიძლიათ ისარგებლოთ 50% და 30% პროცენტიანი ფასდაკლებებით, გარკვეული სახის ლიტერატურაზე.

ერთ-ერთი გამორჩეული აქცია, რომლითაც მარტის ბოლომდე შეუძლიათ ბორჯომის ,,ბიბლუსის“ ფილიალშიც ისარგებლონ მკითხველებმა, ,,3 წიგნი -10 ლარადაა“. მკითხველებს, მისთვის სასურველ სამ წიგნზე, რომელიც სასულიერო, ისტორიულ, სამედიცინო, კლასიკურ, თანამედროვე საბავშვო თუ გასტრონომიული ჟანრის ლიტერატურას მოიცავს. აქ თქვენი გემოვნებისა თუ სურვილის მიხედვით საჭირო ლიტერატურას სპეციალურად აქციისათვის განკუთვნილ თაროზე იპოვით. გეტყვით, რომ აქციის ფარგლებში განკუთვნილი წიგნების ჩამონათვალი მართლაც დიდია.

**ნატო მელიქიძე**

## დედა - ,,შენი თვალებით ვხედავ სამყაროს“

**ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი თემატური საღამო დევიზით: ,,შენი თვალებით ვხედავ სამყაროს“.**

შეხვედრა გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა**. მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. აქტიურ მკითხველებს ყვავილები და დიპლომები გადასცა. სიტყვებით გამოვიდნენ მკითხველები **მარინა ჩაჩანიძე, ანასტასია ხალაძე, ანასტასია ჩუტკერაშვილი, ანასტასია ლომიძე, მარიამ გელაშვილი.**

სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორი **ნანული სალაღაია**.

დედის დღე აღინიშნა ახალი უბნის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი **ლელა მელიქიძე**).

,,დედა“, მართლაც რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ ოთხ ასოში, უანგარო შრომა, თავდადება, სიყვარული, თავგანწირვა, დღედაღამ შრომა, რომ შვილი ღირსეულად აღიზარდოს.

სწორედ ამ დევიზით ბიბლიოთეკას ესტუმრნენ №4 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეები, (ხელმძღვანელი **მაია ფერაძე**), რომლებსაც წითელი ფურცლებით გამოჭრილ გულებზე ქონდა წარწერა: - **,,ჩემი დედა ლამაზია“, ,,ყველაზე სათნო დედიკო“, ,,მიყვარხარ დე“ და ა.შ.** ბავშვებმა იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წარმოთქვეს ქალზე, დედაზე, ძალიან ვისიამოვნეთ და ვიმხიარულეთ. დიდი სითბო და გულისხმიერება გამოითქვა ახალი უბნის ყოფილ ბიბლიოთეკარზე, ქალატონ **თინათინ რაზმაძის** მისამართით.

აღსანიშნავია, რომ ახალი უბნის ბიბლიოთეკაში მკითხველთა ნაკლებობას არ უჩივიან და ეს მეტად სასიამოვნო სიახლეა კომპიუტერის ერაში. ,,**წიგნი ხომ ადამიანის სულის მალამოა“**.

**ნანული სალაღაია,**
ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორი.

## ევროპული ტური ბაკურიანში




**თოვლის ფრენბურთის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბაკურიანმა თოვლის ფრენბურთის რიგით მეორე საერთაშორისო ტურნირს - ევროპის ტურს უმასპინძლა. ჩემპიონატი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 10 მარტს კი გამარჯვებულების ვინაობა ცნობილი გახდა.**

**ტურნირში მონაწილეობა მიიღეს, როგორც მამაკაცებმა, ასევე ქალმა ფრენბურთელებმა. ტურნირში საქართველოს, პოლონეთის, იტალიის, თურქეთის და უნგრეთის გუნდები ასპარეზობდნენ.**

**საქართველოდან პირველობისთვის ორმა გუნდმა იბრძოლა. ორივე მათგანმა კი მედლის მოპოვება შეძლო და საპრიზო მე-3 ადგილი დაიკავა.**

**თოვლის ფრენბურთის ევროპის ტურის შედეგები:**

**გოგონები**
**I ადგილი - თურქეთი;**
**II ადგილი - თურქეთი;**
**III ადგილი - საქართველო;**

**ვაჟები**
**I ადგილი - იტალია;**
**II ადგილი - პოლონეთი;**
**III ადგილი - საქართველო.**

**თოვლის ფრენბურთის ევროპის ტური თურქეთში 12-15 მარტს გაგრძელდა და იტალიაში 29-31 მარტს დასრულდება.**

**მორალის თემაზე**

## ნურავის დაპირდებით, თუ ვერ შეასრულებთ

**ერთ ცივ ღამეს მილიარდერს გარეთ ღარიბი მოხუცი დახვდა. მან ჰკითხა: “გარეთ არ გცივა და არც ქურთუკი არ გაცვია?” მოხუცმა უპასუხა: ,,არა, მაგრამ მიჩვეული ვარ“. მილიარდერმა უპასუხა: - დამელოდე, ახლა ჩემს სახლში შევდივარ და ქურთუკს მოგიტანო. საწყალი მოხუცი ბედნიერებით აივსო და უთხრა, რომ დაელოდებოდა. მილიარდერი სახლში შევიდა და მოხუცი დაივიწყა.**

**დილით გაახსენდა ის საწყალი მოხუცი და გამოვიდა მის საძებნელად, თუმცა სიცივისგან გარდაცვლილი დახვდა, მაგრამ ჩანაწერი დატოვა: „როცა თბილი ტანსაცმელი არ მქონდა, ძალა მქონდა სიცივესთან მებრძოლა. ამასთან მიჩვეული ვიყავი, მაგრამ როცა დამპირდი დახმარებას, შენს დაპირებას მივაჩერდი და ამაზე ძალა დამჭირდა წინააღმდეგობის გაწევისთვის“.**

**მორალი: ნუ დაჰპირდები ნურაფერს, თუ დაპირებას ვერ შეასრულებ. ეს შეიძლება შენთვის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ სხვისთვის შეიძლება ყველაფერს ნიშნავდეს!**

## ლომიძეებო, გიწვევთ საგვარეულო შეხვედრაზე!

**2024 წლის 30 მარტს, 14 საათზე, დანიშნულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ლომიძეების საგვარეულო შეხვედრა, რომელიც გაიმართება ქალაქ ბორჯომის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში.]**

**დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით:**

**ტელ: 599 227 929.**

**ლომიძეები საგვარეულო დარბაზის გამგეობა.**

## აკაკი თასოშვილის გახსენება



26 მარტს 10 წელი გისრულდება,რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო დაუვიწყარო კაკო. ძნელია ჩვენთვის 26 მარტის მოგონება. დიდი სევდა და სინანული დაგვიტოვე შენი უდროოდ წასვლით. თურმე ყველაფერს ვერ შლის დრო, არც ყველა ტკივილს აყუცებს დღეთა სვლა. გწამდეს, შენ ხსოვნას ჩრდილი არასდროს მიადგება. გვიყვარხარ და გვენატრები. მსუბუქი იყოს შენ გულზე დაყრილი წაღვერის მიწა, მშვიდად განისვენე სამარადისო სასუფეველში.

**შენი ოჯახი.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე